



საქართველოს საერთო სასამართლოების
მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგია
გ ა და წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

№ 3/01-2018

21 იანვარი 2019 წელი

საქართველოს საერთო სასამართლოების
მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიამ
შემდეგი შემადგენლობით:
თავმჯდომარე - ამირან ძაბუნაძე
წევრები: თეა ძიმისტარაშვილი
ნიკოლოზ მარგველაშვილი

მიღვანი - თამარ გაგუა

მხარეები:

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

წარმომადგენლები: ვალერიან გავაშელი, ონისე მეტრეველი, იოსებ ვარძელაშვილი;

---- სასამართლოს მოსამართლე ----;

დახურულ სხდომაზე განიხილა დისციპლინური საქმე ---- სასამართლოს მოსამართლის ---- მიმართ.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 8 ოქტომბრის N147/17 გადაწყვეტილებით შპს '----' 2017 წლის 23 აგვისტოს N-- საჩივრის საფუძველზე დისციპლინური დევნის აღძვრის წინასწარი შემოწმების შედეგად, „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-7 მუხლის (2018 წლის 1 მაისამდე მოქმედი რედაცია) თანახმად, ---- სასამართლოს მოსამართლის - ---- მიმართ აღიძრა დისციპლინური დევნა, რომლის საფუძველი გახდა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომა - საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურება.

მოსამართლის დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემას საფუძველად დაედო შემდეგი გარემოებები:

2016 წლის 6 ივლისს შპს -- „----“ სარჩელი წარადგინა ---- სასამართლოში, მოპასუხის ---- წინააღმდეგ, უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვის მოთხოვნით.

შპს -- „--“ 2016 წლის 3 აგვისტოსა და 2016 წლის 24 ოქტომბერს, განცხადებები წარადგინა სასამართლოში, მოპასუხისათვის სარჩელის საჯარო შეტყობინების გზით ჩაბარების მოთხოვნით.

მოსარჩელის წარმომადგენელმა 2016 წლის 7 ნოემბერს ---- სასამართლოში დამატებით წარადგინა განცხადება და საქმის განხილვის გაჭიანურების გამო მისი დასრულება მოითხოვა.

---- სასამართლოს 2017 წლის 18 იანვრის განჩინებით, მოპასუხეს საჯარო შეტყობინების გზით ეცნობა სარჩელის შესახებ, რომელიც საქართველოს იუსტიციის საბჭოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტის ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა 2017 წლის 4 აგვისტოს.

---- სასამართლოს 2018 წლის 2 თებერვლის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა.

დაუსწრებელი გადაწყვეტილება მხარეებს გაეგზავნათ 2018 წლის 5 თებერვალს.

საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის სხდომაზე დისციპლინური საქმის განხილვისას საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წარმომადგენლებმა სრულად დაუჭირეს მხარი დისციპლინურ ბრალდებას.

საერთო სასამართლოების სადისციპლინო კოლეგიის სხდომაზე მოსამართლე ---- საქმის განხილვის გაჭიანურების მიზეზად, საქმეთა დატვირთვისა და სხვა ხელშემშლელი გარემოებები დაასახელა. კერძოდ, განმარტა, რომ 2016 წლის 12 თებერვალს დაინიშნა ---- სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლე. 2016 წლის 11 აგვისტოდან ახორციელებს ---- სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლის უფლებამოსილებას. განსახილველად ერთიანად დაეწერა 700 სამოქალაქო საქმე. 16 თვის მანძილზე კი მის წარმოებაში იყო 2940 საქმე და ამ საქმეთა 20%-ის განხილვა დაასრულა. ასევე აღნიშნა, რომ 2940 საქმეში არ შედიოდა უზრუნველყოფის ღონისძიებებთან და გადაწყვეტილების აღსრულებასთან დაკავშირებული საქმეები. კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით მოსამართლემ განმარტა, რომ შესაგებლის წარმოდგენის ვადა მოპასუხეს ამოეწურა 2017 წლის 21 აგვისტოს. დაუსწრებელი გადაწყვეტილება მიიღო 2018 წლის 2 თებერვალს და გადაწყვეტილება უკვე შესულია კანონიერ ძალაში, ასევე აღნიშნა ის გარემოება, რომ სამოსამართლეო უფლებამოსილებას ახორციელებს 2005 წლიდან და ამ პერიოდის მანძილზე დისციპლინური სახდელი არასოდეს დაკისრებია.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წარმომადგენლები დაეთანხმნენ მოსამართლე ---- მიერ წარმოდგენილ მონაცემებს მისი დატვირთულობის თაობაზე

საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიამ განიხილა დისციპლინური საქმე, შეისწავლა აღნიშნული საქმის მასალები, მოუსმინა დისციპლინური ბრალდების მხარეს და მიიჩნია, რომ მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული შემდეგი სამართლებრივი ხასიათის გარემოებები:

„საერთო სასამართლოების შესახებ, საქართველოს ორგანული კანონის 75³⁹-ე მუხლის თანახმად, სადისციპლინო კოლეგია ადგენს, ჩაიდინა თუ არა მოსამართლემ ქმედება, რომლისთვისაც მას წარედგინა დისციპლინური ბრალდება, და ამ კანონის შესაბამისად არის თუ არა ეს ქმედება დისციპლინური გადაცდომა. სადისციპლინო კოლეგია ასევე ადგენს, მიუძღოდა თუ არა მოსამართლეს ბრალი დისციპლინური გადაცდომის ჩადენაში. მხოლოდ სამივე ამ გარემოების არსებობისას არის სადისციპლინო კოლეგია უფლებამოსილი, მიიღოს გადაწყვეტილება მოსამართლის ბრალეულად ცნობისა და მისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობისა და სახდელის დაკისრების შესახებ. სადისციპლინო კოლეგია უფლებამოსილია შეცვალოს მოსამართლის ქმედების კვალიფიკაცია ამ კანონის 75¹-ე მუხლით გათვალისწინებული ნებისმიერი სახის დისციპლინური გადაცდომით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველს წარმოადგენს დისციპლინური გადაცდომის ჩადენაში მოსამართლის ბრალეულობის დადგენის სავალდებულობა. თავის მხრივ, ბრალეულობის დასადგენად მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ყველა ის ობიექტური გარემოება, რამაც დისციპლინურ გადაცდომად შერაცხული კონკრეტული ქმედების ჩადენა განაპირობა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹-ე მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინური გადაცდომის ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს - საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურება.

იმისთვის, რომ სრულყოფილად შეფასდეს საჩივრის საფუძველზე გამოკვლეული ფაქტობრივი გარემოებები შეიცავენ თუ არა მოსამართლის მიერ შესაბამისი პუნქტით განსაზღვრული დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს, აუცილებელია განისაზღვროს თავისი არსით რას წარმოადგენს საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურება, როდიდან უნდა ჩაითვალოს საქმე გაჭიანურებულად და რას გულისხმობს ტერმინი „უსაფუძვლო“.

მოსამართლის მიერ საქმის განხილვის შესაძლო უსაფუძვლო გაჭიანურებაზე მსჯელობისას აუცილებელია ყურადღება მიექცეს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლს (რომელიც მოიცავს სამართლიანი სასამართლოს მიერ საქმის გონივრულ ვადაში განხილვის უფლებას) და იმ კრიტერიუმებს, რასაც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო იყენებს მე-6 მუხლის დარღვევის დადგენის დროს (საქმის განხილვის გონივრული ვადის დარღვევის გამო).

ამასთან, იყო თუ არა საქმის განხილვის ვადები არაგონივრული საინტერესოა შეფასდეს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სასამართლო პრაქტიკით დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად, კერძოდ, ეს კრიტერიუმებია:

1) საქმის სირთულე, რომელიც შეიძლება დაკავშირებული იყოს, როგორც საქმის ფაქტობრივ, ისე სამართლებრივ სირთულესთან (*Katte Klitsche de la Grande v. Italy*, 55; *Papachelas v. Greece*, 39); რომელიც შეიძლება დაკავშირებული იყოს რამდენიმე მხარის საქმეში ჩაბმასთან (*H. V. United Kingdom*, 72); მტკიცებულებების გამოკვლევასთან (*Human v. Poland*, 63) და ა.შ. ამასთან, იმ შემთხვევაშიც როდესაც საქმე თავისი არსით სირთულით არ ხასიათდება, თუმცა ეროვნული კანონმდებლობა არ არის ნათელი ამ გარემოებამაც შეიძლება საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურება გამოიწვიოს (*Lupeni Greeck Catholic Parish and others v. Romania*, 150);

2) მხარეთა მოქმედებები, რაც გულისხმობს მაგალითად, ადვოკატთა ხშირ ცვლილებას (Koenig v. Germany, 103), შუამდგომლობებს, რომელიც გამიზნულია პროცესის გასაჭიანურებლად, ან უბრალოდ დაკავშირებულია გარკვეულ ვადებთან (Acquaviva v. France, 61), ასევე სხვა მოქმედებები, რომელიც უკავშირდება საქმის განხილვის ვადის გაგრძელებას;

3) საქმის განმხილველი მოსამართლის მოქმედებები, ყურადღება უნდა მიექცეს ხანგრძლივი დროის განმავლობაში მოსამართლის მიერ საპროცესო მოქმედების შეუსრულებლობას/ჩაუტარებლობას (Pafitis and others v. Greece; 93; Tiece v. San Marino; 31; Suermeli v. Germany, 129.)

თუმცა, აქვე ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით საქმის განხილვის ვადა იყო გონივრული თუ არა უნდა შეფასდეს ყოველ საქმეზე ინდივიდუალურად, საქმის კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით (Frydlender v. France, 43) და ერთიანობაში ყველა საპროცესო მოქმედების მხედველობაში მიღების შედეგად (Koenig v. Germany; 98).

მოცემულ შემთხვევაში მოპასუხის მიერ სასამართლოში შესაგებელი არ წარდგენილა, ხოლო შესაგებლის წარდგენის ბოლო ვადა იყო 2017 წლის 21 აგვისტო (სარჩელის თაობაზე ეცნობა საჯარო შეტყობინების გზით). ამდენად, არსებობდა სასამართლოს მიერ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 232¹ მუხლით განსაზღვრული დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის ან შესაბამისი სხდომის დანიშნის საფუძველი, კერძოდ, აღნიშნული ნორმის თანახმად - მოპასუხის მიერ ამ კოდექსის 201-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით დადგენილ ვადაში პასუხის (შესაგებლის) წარუდგენლობისას, თუ ეს გამოწვეულია არასაკმაყოფილო მიზეზით, მოსამართლეს ზეპირი მოსმენის გარეშე გამოაქვს დაუსწრებელი გადაწყვეტილება. ამასთანავე, მოსამართლე დააკმაყოფილებს სარჩელს, თუ სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას; წინააღმდეგ შემთხვევაში მოსამართლე ნიშნავს სხდომას, რის შესახებაც ეცნობებათ მხარეებს ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით. სხდომის ჩატარების შემთხვევაში მოპასუხისაგან მტკიცებულებათა მიღება არ ხდება და სასამართლო მოისმენს მოპასუხის მხოლოდ სამართლებრივ მოსაზრებებს სასარჩელო მოთხოვნასთან დაკავშირებით.

სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა არ აკონკრეტებს სპეციალურ ვადას, თუ შესაგებლის წარუდგენლობიდან რა ვადაში უნდა მიიღოს სასამართლომ შესაბამისი გადაწყვეტილება, თუმცა, ეს ვადა ვერანაირად ვერ იქნება საქმის არსებითი განხილვის საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59-ე მუხლით განსაზღვრულ ვადაზე მეტი, ამდენად მოსამართლემ დაუსწრებელი გადაწყვეტილება უნდა მიიღოს საქმის არსებითი განხილვისათვის განსაზღვრული ვადის ფარგლებში.

განსახილველ შემთხვევაში, შპს „----“ სარჩელი სასამართლოს წარედგინა 2016 წლის 6 ივლისს. იმ მიზეზით, რომ მოსარჩელემ ვერ ჩააბარა მოპასუხეს სარჩელი, მან 2016 წლის 3 აგვისტოს იშუამდგომლა საჯარო შეტყობინების შესახებ განჩინების მიღებაზე, სასამართლოს მიერ განჩინება მიღებულ იქნა 2017 წლის 18 იანვარს (5 თვის შემდგომ). ამასთან, საყურადღებოა ის გარემოება, რომ საჯარო შეტყობინების შესახებ 2017 წლის 18

იანვრის განჩინება გამოქვეყნდა 2017 წლის 4 აგვისტოს (დაახლოებით 7 თვის შემდეგ). ბუნებრივია ამ გარემოებამაც განაპირობა საქმის განხილვის ვადის გაჭიანურება. ამასთან, მოპასუხის მიერ სასამართლოსათვის შესაგებლის წარდგენის ბოლო ვადა იყო 2017 წლის 21 აგვისტო. მოსამართლემ დაუსწრებელი გადაწყვეტილება გამოიტანა - 2018 წლის 2 თებერვალს ანუ შესაგებლის წარდგენის ბოლო ვადიდან 5 თვის შემდეგ (ამ პერიოდის განმავლობაში მოსამართლე ---- ისარგებლა კუთვნილი შვებულებით, 30 კალენდარული დღის ვადით).

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75⁴¹-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, სადისციპლინო კოლეგია უფლებამოსილია გამოიტანოს ერთ-ერთი შემდეგი გადაწყვეტილება: მოსამართლის გამართლების შესახებ.

საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგია განმარტავს, რომ დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება არის უაღრესად საფრთხილო და მნიშვნელოვანი საკითხი. დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება შეიცავს სასამართლოს დამოუკიდებლობაზე ზემოქმედების პოტენციურ საფრთხეს, ამიტომ ყველა კონკრეტული შემთხვევის დროს ზუსტად უნდა დადგინდეს დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი და შესაბამისად განისაზღვროს დისციპლინური სახდელი, კერძოდ მოსამართლეს დისციპლინური სახდელი ეკისრება თუ დადასტურდა მის მიერ იმ ქმედების ბრალეულად ჩადენა, რომელიც წარმოადგენს დისციპლინურ გადაცდომას.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75⁴⁵-ე მუხლის თანახმად, სადისციპლინო კოლეგია იღებს მოსამართლის გამართლების შესახებ გადაწყვეტილებას, თუ საქმის განხილვის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან მისი ბრალეულად ჩადენა არ დასტურდება.

სადისციპლინო კოლეგია განმარტავს, რომ საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურებასა და გონივრულ განხილვას შორის შუალედური მიჯნის პოვნა მხოლოდ კონკრეტული ერთეული შემთხვევების დეტალური განხილვისა და შეფასების საგანია. განსახილველ შემთხვევაში სადისციპლინო კოლეგიამ მხედველობაში მიიღო ის გარემოება, რომ მოცემულ საქმეზე მოსამართლე ----, 2016 წლის აგვისტოდან - 2018 წლის თებერვლამდე პერიოდში, 5 თვის, 7 თვის და 5 თვის შუალედებით განახორციელა საპროცესო მოქმედებები და მოსამართლის მხრიდან საქმის განხილვის აღნიშნული გაჭიანურება, არ არის ინსპირირებული დანაშაულებრივი ნიშნებით და მეტწილად ემყარება ლოგიკურ არგუმენტაციას, როგორც არის სასამართლოს შიდა ფაქტორი, კერძოდ, მოსამართლის გადატვირთულობა და მოსამართლეთა ნაკლებობა, ანუ ეფექტური მართლმსაჯულებისათვის საჭირო მოსამართლეთა დეფიციტი. აღნიშნულზე მეტყველებს მოსამართლე ---- მიერ წარმოდგენილი მონაცემები მისი დატვირთულობის შესახებ, რაც იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წარმომადგენლებს სადავოდ არ გაუხდიათ. ასეთ პირობებში, როდესაც გაჭიანურების მიზეზი განპირობებულია სასამართლოში მოსამართლეთა ნაკლებობით, რაც იწვევს სამართალწარმოების პროცესში ჩართული

მოსამართლის გადატვირთულობას, შესაბამისად არ უნდა დადგეს მისი ბრალეულობის საკითხი.

რაც შეეხება სხვა ქვეყნების კანონმდებლობას, ხშირ შემთხვევაში საქმის წარმოების გაჭიანურება თავისთავად არ წარმოადგენს დისციპლინურ გადაცდომას, თუ ეს არ არის არასაკატიო (მაკედონია, სერბეთი, რუმინეთი, ესპანეთი), ან გაუმართლებელი (ბოსნია), ან უსაფუძვლო (ბულგარეთი), ან თუ ამას შედეგად არ მოჰყვება მხარეთა კონსტიტუციური უფლებების ან მართლმსაჯულების ინტერესების რეალური ან პოტენციური ხელყოფა (ალბანეთი), (იხილეთ <http://dcj.court.ge/uploads/kvlevebi/researches/csmsummariesFRANCE.pdf>)

ამგვარად საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიამ დისციპლინური სახდელის დაკისრების საკითხის გადაწყვეტისას, გაითვალისწინა მოსამართლის საქმიანი და მორალური რეპუტაცია, მხედველობაში მიიღო დისციპლინური გადაცდომის შინაარსი, შედეგები და მიიჩნია, რომ ---- სასამართლოს მოსამართლე ---- უნდა გამართლდეს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹-ე მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის - საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურებათვის წარდგენილ დისციპლინურ ბრალდებაში.

საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიამ იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75⁴¹-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით, 75⁴⁵-ე, 75⁵²-ე მუხლით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. ---- სასამართლოს მოსამართლე გამართლდეს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹-ე მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის (საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურება) ჩადენისათვის წარდგენილ დისციპლინურ ბრალდებაში.
2. საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილების ასლები გადაეგზავნოთ კანონით გათვალისწინებულ უფლებამოსილ პირებს და ორგანოებს.
3. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატაში, გადაწყვეტილების გადაცემიდან 10 დღის ვადაში საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის მეშვეობით.

თავმჯდომარე

წევრები:

ამირან ძაბუნძე

თეა ძიმისტარაშვილი

ნიკოლოზ მარგველაშვილი